

სპეციალური მასწავლებლების დისტანციური წვრთნა სპეციალური
საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დავალებათაში
ჩართულობის დრის გაზრდის მიზნით

სოფიო ზაზარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა - ფსიქოლოგია

(სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური
ფსიქოლოგია)

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი

პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თანახელმძღვანელი: ანა ბარქაია, აშშ ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ

სეტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსი, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2017

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

სოფიო ზაზარაშვილი

28/06/2017

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის თანახელმძღვანელს, ანა ბარქაიას. კვლევის იდეის მოწოდებისთვის, გაწეული სუპერვიზიისთვის და კვლევის პროცესში დახმარებისთვის. ასევე დიდი მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ქეთევან მაყაშვილს თანამშრომლობისთვის. მადლობას ვუხდით ილიას უნივერსიტეტს და ბავშვის განვითარების ინსტიტუტს, კვლევის პროცესის ტექნიკური მხარის უზრუნველყოფისთვის. მადლობას ვუხდით ქ. ზუგდიდის სკოლის სპც მასწავლებლებს და მოსწავლეებს კვლევაში მონაწილობის მიღებისთვის.

აბსტრაქტი

კვლევა გვაჩვენებს სკოლის მასწავლებლების დისტანციურ წვრთნას, საქართველოს ერთი ქალაქიდან-თბილისიდან, მეორე ქალაქში-ზუგდიდში. რის საფუძველზეც მცირდება ფინანსებთან და დროსთან დაკავშირებული პრობლემები. დისტანციური წვრთნის დროს, ტელეკომუნიკაციების საშუალებით ვითარდება როგორც მასწავლებლის ასევე ბავშვის უნარები. კვლევა ჩატარდა ქალაქ ზუგდიდის 2 სკოლაში. მონაწილეები იყვნენ აღნიშნული სკოლების სამი მასწავლებელი და მათი სამი მოსწავლე. კვლევის მიზანი იყო ეჩვენებინა ტელეკომუნიკაციების საშუალებით შესაძლოა თუ არა სკოლებში სპეც მასწავლებლებს დისტანციურად ვასწავლოთ ქცევითი თერაპიის ძირითადი პრინციპები, რის შედეგადაც უმჯობესდება მასწავლებლის უნარები და მასწავლებლის უნარების გაუმჯობესება იწვევს ბავშვის უნარების გაუმჯობესებას. ერთი მასწავლებელი ერთ ბავშვთან, რესრუს ოთახში მუშაობდა ბავშვის დავალებზე კონცენტრირების უნარის გაზრდაზე. კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა, პირველ ეტაპზე დაიწყო სამივე მასწავლებელზე დაკვირვება და მოხდა საფუძვლის მონაცემების აღება. მეორე ეტაპზე კვლევის მონაწილეებს ჩაუტარდათ 1 საათიანი ტრენინგი „ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპების გამოყენებით როგორ გავზარდოთ ბავშვის დავალებზე კონცენტრირების დრო“ და შემდეგ მოხდა მასწავლებლების დისტანციური წვრთნა. ორივე ეტაპის შედეგები იქნა დათვლილი და გრაფიკული სახით გამოსახული. შედეგების დასამუშავებლად გამოყენებულ იყო შემდეგი ექსპერიმენტული დიზანი: ერთი სუბიექტის ანალიზი, კერძოდ კი მონაწილეებს შორის მრავლობითი საფუძვლის დიზანი.

ტრენინგის მოსმენის და დისტანციური წვრთნის შემდეგ მასწავლებლების პროფესიულ უნარებში, დადებითი ცვლილებები მოხდა, რამაც ბავშვების უნარები პოზიტიურად შეცვალა.

კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით. მწვრთნელს სუპერვიზიას უწევდა ანა ბარქაია, აშშ ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სეტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსი, BCBA.

კვლევა აჩვენებს, რომ დისტანციური წვრთნის საშუალებით შესაძლებელია მასწავლებლების უნარების გაძლიერება რაც დადებითად აისახება ბავშვების უნარების განვითარებაზე, მეორე არის ის რომ დისტანციური წვრთნით შესაძლებელია ქცევის გამოყენებითი ანალიზის პრინციპების მასწავლებლებისთვის სწავლება და სკოლაში ამ მიდგომის დანერგვა. ჩვენ შეგვიძლია დავზოგოთ, დრო, ფინანსები და საქართველოს სკოლებში მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ვიზრუნოთ.

საძიებო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ქცევითი თერაპია, დისტანციური წვრთნა, ტელეჯანდაცვა.